აღნიშნული აქტი შედგა მასზედ, რომ ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ჯონი მჭედელაძემ ჩაიბარა და მეორეს მხრივ შპს „ახალი საქალაქმშენპროექტის“ დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა 2012 წლის 31 ოქტომბრის №671 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ მართმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა, საერთო თანხით 25000 (ოცდახუთათასი) ლარი.

ჩავიბარე
ჯონი მჭედელაძე



ჩავაბარე
„ახალი საქალაქმშენპროექტის“
ბაკურ მირიანაშვილი



სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N71

ქ. თბილისი

30 მარტი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა გელოვანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი საქალაქმშენებროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NSPA110007500 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ ტერიტორიული ერთეულების (სოციალური მომსახურების ცენტრი და რაიონული განყოფილებები) ოფისებისათვის რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- 2.2. „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი შიდა რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
 - 2.2.1. განმარტებით ბარათს;
 - 2.2.2. ნახაზებს;
 - 2.2.3. სრული დიზაინი ვირტუალური ჩვენებით (3 D ვერსია);
 - 2.2.4. სართულის არსებული გეგმა;
 - 2.2.5. ობიექტის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა ავეჯის განლაგების ჩვენებით (ტექნოლოგიური სქემა);
 - 2.2.6. მუშა ნახაზი;
 - 2.2.7. შეთავსებული გეგმა;
 - 2.2.8. იატაკების და კედლების მოპირკეთების სქემები;
 - 2.2.9. ჭერის მოწყობის სქემა;
 - 2.2.10. კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები;
 - 2.2.11. დეტალების ნახაზები (კიბე, პანდუსი, მოპრავი ტიხარი, გისოსები, და ა.შ.);
 - 2.2.12. კონსტრუქციულ ნახაზები (საჭიროების შემთხვევაში);
 - 2.2.13. ეზოს მოწყობის ნახაზი (საჭიროების შემთხვევაში).

2.3. „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი საინჟინრო ქსელების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

2.3.1. ელმომარაგების და სუსტი დენების ქსელის მოწყობის პროექტი ელექტრო წერტილების განლაგების სქემით და ელ.მოწყობილობების საჭირო სიმძლავრეების ცხრილით;

2.3.2. წყალმომარაგების და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პროექტი;

2.3.3. გათბობის ცენტრალური სისტემის მოწყობის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში ცალკე მდგომი საქვების გათვალისწინებით;

2.3.4. არხული კონდიციონერების სისტემის პროექტი (საჭიროების შემთხვევაში).

2.3.5. შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს და მოცულობებს.

2.3.6. წინასწარ ხარჯთაღრიცხვას.

2.4. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.3. პუნქტებში მითითებული მომსახურების გაწევა განხორციელდება „შემსყიდველის“ 6 (ექვსი) ტერიტორიულ ერთეულში, რომელთა ფართი, კვადრატულობა და ფასები მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.5. „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი გარე კომუნიკაციების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

2.5.1. განმარტებით ბარათს.

2.5.2. ნახაზებს;

2.5.3. სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას;

2.5.4. შეთანხმებას გაერთიანებული წყლის კომპანიის ადგილობრივ და ცენტრალურ სამსახურთან.

2.6. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.5. პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევა იგეგმება „შემსყიდველის“ 12 (თორმეტი) ტერიტორიული ერთეულის (რაიონული განყოფილებები) ოფისებისათვის, რომელთა მისამართები და ღირებულება მოცემულია დანართ N2-ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 30 490 (ოცდაათი ათას ოთხასოთხმოცდაათი) ლარს.

3.2. საპროექტო მომსახურების ღირებულება შეადგენს სამყოფი ფართის (დაზუსტებული საქართველოს მთავრობის დადგენილება N57 2009 წლის 24 მარტი) – 182-ზე 11,95 თერთმეტი ლარი, 95 თეთრი) ლარს, მათ შორის:

3.1.1. აქტივებურულ და კონსტრუქციული ნაწილის პროექტის ღირებულება 182-ზე შედგენს 8.7 (რვა ლარი, 70 თეთრი) ლარს.

3.1.1. წინასწარი ხარჯთაღრიცხვის ღირებულება 182-ზე შედგენს 0.87.

3.3.1. შიგა საინჟინრო ქსელების პროექტის 182-ზე – 2.38.

3.3.2. (საჭიროების შემთხვევაში) არხული კონდიციონერების პროექტის 182-ზე – 0.6.

3.3.3. (საჭიროების შემთხვევაში) ეზოს ფართის 182-ზე – 0.9.

3.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან შემდეგ ვადებში განხორციელებს მომსახურებას:

4.2.1. დანართ N1-ში მითითებული ერთი ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ვადა - 20 (ოცი) კალენდარული დღე, ხოლო ერთზე მეტი ობიექტის შემთხვევაში, ყოველ დამატებულ ობიექტზე ვადა გაიზრდება 10 (ათი) კალენდარული დღით.

4.2.2. დანართ N2-ში მითითებული 12 (თორმეტი)-ვე ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ვადა - 20 (ოცი) სამუშაო დღე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.2. დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების შესახებ საფინანსო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება-ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

6.4. „მიღება-ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი და ადგილზე შეისწავლოს ოფისები და დააზუსტოს „შემსყიდველისგან“ მიღებული მონაცემები: არსებული გეგმა-აზომებითი ნახაზი და ტექნიკური პირობები.

7.1.2. „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებულ ვადებში გაწიოს მომსახურება.

7.1.3. წარმოადგინოს პროექტები ალბომის სახით თანდართული ელექტრონული ვერსიით (არქიტექტურული ნაწილი ArchiCAD-ში).

7.1.4. კეთილსინდისიერად და პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს მომსახურების გაწევა.

7.1.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია სრული მოცულობით, დაუყოვნებლივ აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება მის მიერ შესრულებული სამუშაოს (საპროექტო დოკუმენტაციაში) ნებისმიერი წუნის აღმოფხვრასთან და რაც გამოვლინდება მშენებლობის განხორციელების პროცესში.

7.1.6. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად შეუქმნას „მიმწოდებელს“ სამუშაო პირობები.

7.2.2. წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“ იმ ობიექტების ჩამონათვალი (მისამართების მითითებით) რომლებზეც უნდა მოხდეს მომსახურების გაწევა.

7.2.3. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება 6.3. და 6.4. პუნქტების გათვალისწინებული პირობებით.

7.2.4. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.1.2. თავისი ხარჯითა და შეხედულებისამებრ მოიწვიოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ან მისი ნაწილის განსახორციელებლად სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები: ფიზიკური ან იურიდიული პირები;

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. მოითხოვოს მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორები, სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი ექსპერტ-კონსულტანტი თამარ ჯიბლაძე (შიდა რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე) და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი დავით კაჭახიძე (გარე კომუნიკაციების და შიდა საინჟინრო ქსელების მოწყობის) საპროექტო დოკუმენტაციაზე.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1. „მიმწოდებლის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი რისკის აცილების მიზნით გამოიყენება გარანტიის მექანიზმის შემდეგი სახე – 2%-იანი საბანკო გარანტია, რომელიც მოქმედებს 2012 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.2. საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება „მიმწოდებელს“ თუ:

14.2.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

14.2.2. უარს იტყვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

14.2.3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.3. საბანკო გარანტია დაუბრუნდება „მიმწოდებელს“ თუ:

14.3.1. „შემსყიდველი“ მიიღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე;

14.3.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ;

14.3.3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

16.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

16.1.2. მხარეთა შეთანხმებით.

16.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

18.2. ხელშეკრულება შედგენილია 9 გვერდზე, (ოთხ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.


18.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“ სამი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“.


„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი N 144
სახაზინო კოდი N1168
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

შპს „ახალი საქალაქმშენებროექტი“
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N74
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ც/ფ
ბანკის კოდი: NLBRTGE22
ანგ. NGE79LB0113150350564003
ს/კ N205286616


მაშუკა გელოვანი
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი


ბაკურ მირიანაშვილი
დირექტორი



ტერიტორიული ერთეული	შენიშნის პროექტი			მიწის ნაკვეთის პროექტი			არსებული კონდიციონების პროექტი			პროექტის ღირებულება ლარი	მოწოდების ადგილი	
	შენიშნის დასაზუსტებელი ფართობი კვ.მ	ერთეული ს.ფსი	ჯამი	მოსდების დაზუსტებელი ფართობი კვ.მ	ერთეულის ფასი ლარი	ჯამი ლარი	არსებული კონდიციონების ფართობი კვ.მ	ერთეულის ფასი ლარი	ჯამი ლარი			
1	გურჯაანი	326	11.95	3 895.7						3 895.7	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144	
2	გურჯაანი				443	0.9	398.7			398.7		
	ჩოხატაური	251	11.95	2 999.45						2 999.45		
	ჩოხატაური				500	0.9	450			450		
3	ხობი	273	11.95	3 262.35						3 262.35		
	ხობი				500	0.9	450			450		
4	მლანდი-ნაბლაძე	620	11.95	7 409				368	0.6	220.8		7 629.8
5	ნინოწმინდა	117.6	11.95	1 405.32				9		1 405.32		90
	ნინოწმინდა				100	0.9	90					3 931.55
6	თერჯოლა	329	11.95	3 931.55								90
	თერჯოლა				100	0.9	90					
	სულ	1916.6	11.95	22 903.37	1 643	0.9	1 478.7	368		220.8		24 602.87

(Handwritten signature)

მამუკა ბელოვანი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

(Handwritten signature)
ბაკურ მორიანაშვილი



N	ქალაქი	მისამართი	ღირებულება	მიწოდების ადგილი
1	სამტრედია	რესპუბლიკის ქ. N6	524.13	ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N144
2	ჭიათურა	ე. ნინოშვილის ქ. N7	512.	
3	ხაშური	გ. ტაბიძის ქ. 9	483	
4	ჩხოროწყუ	გოზეჩიას ქ. N3	528	
5	თიანეთი	9 აპრილის ქ. N2	471	
6	ცაგერი	შოთა რუსთაველის ქ. 59	529	
7	ადიგენი	ბალახაშვილის ქ. 19	502	
8	წიწიწინდა	პუშკინის ქ. 43	494	
9	ახალქალაქი	მამტოვის ქ. 64	489	
10	დმანისი	წმინდა ნინოს ქ. 41	470	
11	მარნეული	რუსთაველის ქ. 69ა	440	
12	თეთრიწყარო	რუსთაველის ქ. 9	445	
ჯამი:			5 887.13	

მამუკა გელოვანი
 დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ბაკურ შირიანაშვილი
 დირექტორი



შეთანხმება N71/1

2011 წლის 30 მარტის N71 ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ

ქ. თბილისი

„08“ „06“ 2011 წ.

ერთის მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტო, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მამუკა გელოვანის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილი სახით, მხარეთა შორის 2011 წლის 30 მარტს გაფორმებული N71 ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) მე-10 მუხლის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ:

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“-ს 20.05.2011წ. Nად-74 წერილის საფუძველზე, „მიმწოდებლის“ დასახელების ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ერთის მხრივ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მამუკა გელოვანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NSPA110007500 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. „მიმწოდებლის“ რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიმწოდებელი“

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი

N2/ პეკინის ქ. N34

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ც/ფ

ბანკის კოდი: NLBRTGE22

ანგ. NGE79LB0113150350564003

ს/კ N205286616

2. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეხებია შეთანხმება, უცვლელი რჩება.

3. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2011 წლის 30 მარტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული N71 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144,
სახაზინო კოდი N1168
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927



მამუკა გელოჯანი
დირექტორის მოადგილე



„მიმწოდებელი“

შპს „აბალი საქალაქმშენპროექტი“
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი
N2/ პეკინის ქ. N34
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ც/ფ
ბანკის კოდი: NLBRTGE22
ანგ. NGE79LB0113150350564003
ს/კ N205286616

ბაკურ დოგუაშვილი



შეთანხმება N71/2

2011 წლის 30 მარტის N71 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი

„12“ „07“ 2011 წ.

ერთის მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტო, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა გელოვანის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილი სახით, მხარეთა შორის 2011 წლის 30 მარტს გაფორმებული N71 ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) მე-10 მუხლის გათვალისწინებით ვთანხმდებით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე, კერძოდ:

„შემსყიდველის“ – სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ზაზა გუნცაძის 11.07.2011 წ. N04-5804 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განხორციელდეს მხარეთა შორის 30.03.2011წ. N71 ხელშეკრულების ფასის შემცირება და ამ მიზნით,

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 27 334.52 (ოცდაშვიდი ათას სამასოცდათოთხმეტი ლარი, 52 თეთრი) ლარს.“
2. ხელშეკრულების N1 დანართი შეიცვალოს წინამდებარე შეთანხმების დანართით.
3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეეხება შეთანხმება, უცვლელი რჩება.
4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2011 წლის 30 მარტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული N71 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
7. შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144,
სახაზინო კოდი N1168
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

გუნცაძე

მამუკა გელოვანი
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი



„მიმწოდებელი“

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი
N2/ პეკინის ქ. N34
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ც/ფ
ბანკის კოდი: NLBRTGE22
ანგ. NGE79LB0113150350564003
ს/კ N205286616

ბაკურ მირიანაშვილი



ტერიტორიული ერთეული	შემომის პროექტი			მომს ნაკვეთის პროექტი			არსული კონდიციონების პროექტი			პროექტის ღირებულება ლარი	მიწოდების ადგილი
	შემომის დასაბუთებელი ფართობი კვ.მ	ერთეული ფასი	ჯამი	მოს დასაბუთებელი ფართობი კვ.მ	ერთეული ფასი ლარი	ჯამი ლარი	არსული კონდიციონების ფართობი კვ.მ	ერთეული ფასი ლარი	ჯამი ლარი		
1 ბურჯაანი	326	11.95	3 895.7							3 895.7	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144
ბურჯაანი				443	0.9	398.7				398.7	
2 მანისი	24.6	11.95	293.97							293.97	
3 ხობი	273	11.95	3 262.35							3 262.35	
ხობი				500	0.9	450				450	
4 მღვანე-ნახლავი	620	11.95	7 409				368	0.6	220.8	7 629.8	
წარმოშობა	117.6	11.95	1 405.32				9			1 405.32	
წარმოშობა				100	0.9	90				90	
თერჯოლა	329	11.95	3 931.55							3 931.55	
თერჯოლა				100	0.9	90				90	
სულ	1916.6	11.95	22 903.37	1 643	0.9	1 478.7	368		220.8	21 447.39	

მამუკა ბელოვანი
 ბელოვანი

თბილისის მთავრობის შემსრულებელი



შეთანხმება N71/3

2011 წლის 30 მარტის N71 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი

„29“ „08“ 2011 წ.


ერთის მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტო, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მამუკა გელოვანის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილი სახით, მხარეთა შორის 2011 წლის 30 მარტს გაფორმებული N71 ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) მე-10 მუხლის გათვალისწინებით ვთანხმდებით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე, კერძოდ:

„შემსყიდველის“ – სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ზაზა გუნცაძის 25.08.2011წ. N04-8197 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განხორციელდეს მხარეთა შორის 30.03.2011წ. N71 ხელშეკრულების ფასის შემცირება და ამ მიზნით,

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 26 122.36 (ოცდაექვსი ათას ასოცდაორი ლარი, 36 თეთრი) ლარს.“
2. ხელშეკრულების N1 დანართი შეიცვალოს წინამდებარე შეთანხმების დანართით.
3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეეხება შეთანხმება, უცვლელი რჩება.
4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2011 წლის 30 მარტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული N71 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
7. შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტო
ქ. თბილისი, ავ. წერეთლის გამზ. N144,
სახაზინო კოდი N1168
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927


მამუკა გელოვანი
დირექტორის მოადგილე



„მიმწოდებელი“

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი
N2/ პეკინის ქ. N34
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ც/ფ
ბანკის კოდი: NLBRTGE22
ანგ. NGE79LB0113150356564003
ს/კ N205286616

ბაკურ მირიანაშვილი
დირექტორი

	ტერიტორიული ერთეული	შენიშნის პროექტი			მიწის ნაკვეთის პროექტი			არსებული კონსტრუქციების პროექტი			პროექტის ღირებულება ლარში	მიწოდების ადგილი
		შენიშნის დასაზუსტებელი ფართობი კვ.მ	ერთეული ს ფასი	ჯამი	მოსაზრების უფლებფართობი კვ.მ	ერთეული ფასი ლარში	ჯამი ლარში	არსებული კონსტრუქციების ფართობი კვ.მ	ერთეული ფასი ლარში	ჯამი ლარში		
1	ბურჯაანი ✓	326	11.95	3 895.7							3 895.7	
2	ბურჯაანი ✓				443	0.9	398.7				398.7	
2	დმანისი ✓	24.6	11.95	293.97							293.97	
3	ბიზი	273	11.95	3 262.35							3 262.35	
	ბიზი				500	0.9	450				450	
4	ბლდანი-ნაბლადი ✓	620	11.95	7 409							7 629.8	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144
5	ბლდანი-ნაბლადი ✓									368	0.6	220.8
6	ნინოწმინდა ✓	117.6	2.35	276.4						244.8	0.6	146.9
	ნინოწმინდა											276.4
7	თერჯოლა ✓	244.9	11.95	2 926.6							2926.6	
	თერჯოლა ✓											
8	თბილისი, დიდუბე რეკონსტრუქციის	79.9	11.95	954.81							954.81	
	სულ	1686			943		848.7				20 235.23	



A.R

მამუკა ბალოგანი

დირექტორის მოადგილე



Handwritten signature of the project manager.

პროექტი

სოციალური მომსახურების სააგენტო

მიღება-ჩაბარების აქტი №71-8

27 დეკემბერი 2011 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტო, მისი ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა გუნცაძის სახით და, მეორე მხრივ, „მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ახალი საქალაქშენპროექტი“

(დაწესებულების დასახელება)

ბაკურ მირიანაშვილი

(პასუხისმგებელი პირი)

ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2011 წლის „30“ მარტის №71 ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელმა“ განახორციელა სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქ. ნინოწმინდის სოც. მომსახურების ცენტრის ოფისის საინჟინროქსელების პროექტის შედგენის მომსახურება, გაწეული მომსახურების ღირებულებაა 270.37 (ორასსამოცდაათი ლარი და 37 თეთრი) ლარი.

26 122.36 (ოცდაექვსი ათას ასოცდაორი ლარი და 36 თეთრი) ლარი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ----- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

270.37 (ორასსამოცდაათი ლარი და 37 თეთრი) ლარი გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს ----- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

25 141.92 (ოცდახუთი ათას ასორმოცდაერთი ლარი და 92 თეთრი) ლარი ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

23 835.42 (ოცდასამი ათას რვაასოცდათხუთმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარი ანაზღაურებულია ----- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ჩააბარა:
დირექტორი

შიიღო:
ადმინისტრაციის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ინსპექტირება განახორციელა:
კოორდინატორი



/ბ. მირიანაშვილი/

/ზ. გუნცაძე /



გ. ბაგახიძე

/დ. კაჭახიძე /

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 195

ქ თბილისი

2011 წ. 21 სექტემბერი

შპს „ახალი საქაღალაქმშენპროექტი“ შემდგომში შემსრულებლად წოდებული დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, ერთის მხრივ, რომელიც მოქმედებს „შეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე და მეორეს მხრივ, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ“, მისი დირექტორის თამარ ხოფერიას სახით, ედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი თავის თავზე იღებს, შეასრულოს მდ. მტკერის მარცხენა ხანაპიროს, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური სახლის პროექტის კორექტირება (კონსტრუქციული ნაწილი, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 2.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია მადალკვალიფიციურად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
- 2.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სამუშაო“ შეასრულოს 2011 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 4 აპრილამდე.
- 2.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაოს დასრულებისას წარუდგინოს „დამკვეთს“ შესრულებული სამუშაო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.
- 2.4. „დამკვეთი“ ვალდებულია დროულად მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაფარვა.

3. ანგარიშსწორება

- 3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს 20294 (ოციათასორასოთხმოცდათოთხმეტი) ლარს, დღგს-ს ჩათვლით.
- 3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად: ავანსი ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით - 6088 (ექვსიათასოთხმოცდარვა) ლარი, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღის განმავლობაში და დარჩენილი 70% - 14206 (თოთხმეტიათასორასექვსი) ლარი, სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 3.3. ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „სამუშაოს“ უხარისხოდ შესრულებისათვის და ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე.
- 4.2. „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას შესრულებული სამუშაოების ხარისხზე და ვალდებულებას იღებს სამუშაოების დასრულების შემდეგ და ან მანამდე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, „დამკვეთის“ პირველივე მოთხოვნისთანავე მოახდინოს ნაკლის აღმოფხვრა (გამოსწორება) საკუთარი ხარჯითა და საშუალებით.

5. საჯარიმო სანქციები

- 5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ უხდის „დამკვეთს“ საურავს ხელშეკრულების სრული თანხის 0.1%-ს დაგვიანების ყოველ დღეზე.
- 5.2. სათანადო შესრულებული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში (თუ ეს დაგვიანება გამოწვეულია „დამკვეთის“ მიზეზით) „დამკვეთი“ უხდის „შემსრულებელს“ საურავს დაგვიანებული თანხის 0.1%-ს დაგვიანების ყოველ დღეზე.
- 5.3. „შემსრულებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო „დამკვეთისაგან“ მიღებული დასაბუთებული შენიშვნების და ან პროტენზიების გაუთვალისწინებულობის შემთხვევაში, „დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში (როგორცაა ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელს ხდის ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესრულების ვადები გადაიწევა აღნიშნულ გარემოებათა მოქმედების ვადით.
- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებები მოქმედებს ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ დროს არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარისაგან ზიანის ანაზღაურება.
- 6.3. ის მხარე, რომელსაც ფორს-მაჟორული გარემოებები ხელს უშლიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.4. შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით, ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების საშუალებით. შეთანხმების მიღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა პირობები

- 8.1. ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები და ან დამატებები, რომლებიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
- 8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
- 8.3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.
- 8.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“

შპს „ახალი საქქალაქშენპროექტი“
მის. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის
გამზ. №2/პეკინის ქ. №34
საიდენტიფიკაციო კოდი: 205286616
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა № GE79LB0113150350564003

დირექტორი  /ბ. მირიანაშვილი/

ბ.ა.




„დამკვეთი“:

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ“
მის. ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №5/1
საიდენტიფიკაციო კოდი: 204522007
სს „თიბისი“ ბანკის ც/ფ
ა/ა №GE24TB0623636020100002

დირექტორი  /მ. ხოფერიძე/

ბ.ა.



სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2012 წლის 4 აპრილი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს "ახალი საქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ“-ის დირექტორმა თამარ ხოფერიამ ჩაიბარა 2011წ. 21 სექტემბრის №195 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს, გულიას ქუჩახა და ახალ მაგისტრალს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური სახლის პროექტის კორექტირება (კონსტრუქციული ნაწილი, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა). ჩაბარებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

დაკვეთის სახელშეკრულებო დირებულება შეადგენს 20294 (ოციათახორასოთხმოცდაათოთხმეტი) ლარს, დ.დ.გ.-ს ჩათვლით.

სამუშაო ჩაბარა :

..... მირიანაშვილი
" 4 " 04 2012 წ.
ბ.ა.



სამუშაო ჩაიბარა :

..... თ. ხოფერია
" 4 " 04 2012 წ.
ბ.ა.



ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ თბილისი

2011 წ. 25 ივლისი

შპს „ახალი საქალაქმშენარეობა“ შემდგომში შემსრულებლად წოდებული დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, ერთობ მხრივ, რომელიც მოქმედებს „შეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე და მეორეს მხრივ, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, შპს „ქროსვეიხი“, მისი დირექტორის იოსებ უბირიას სახით, ედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი თავის თავზე იღებს, შეადგინოს დაბა სტეფანწმინდაში განლაგებული ხასტუმრო „უაზბეგი“-ს რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და ვენტილაციის ნაწილები.
2. შენობის შესწავლის პროცესში, აუცილებლობის შემთხვევაში, შენობის არსებული მზიდი კარკასის ბეტონის მარკიანობის დადგენის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და მშენებლობის პროცესში ხავეტრო ზედამხედველობის ჩატარების შემთხვევაში, საჭირო სამუშაოები ჩატარდეს ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 2.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია მაღალკვალიფიციურად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
- 2.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სამუშაო“ დაიწყოს 2011 წლის 21 ივლისს და დაასრულოს 2011 წლის 25 ნოემბერს. მათ შორის, პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დაასრულოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 კვირის ვადაში.
- 2.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაოს დასრულებისას წარუდგინოს „დამკვეთს“ შესრულებული სამუშაო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.
- 2.4. „დამკვეთი“ ვალდებულია დროულად მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაფარვა.

3. ანგარიშსწორება

- 3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს შენობის 1 მ²-ზე 4,074 ლარს, დღგ-ს ჩათვლით. საპროექტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ხელშეკრულებას თან ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია.
- 3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად: ავანსი ხელშეკრულების ღირებულების 45%-ის ოდენობით,

ხელშეკრულების ხელმოწერიდან - 5 დღის განმავლობაში და დარჩენილი 55% სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. ანგარიშსწორება შეხატულია განხორციელდეს, როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „სამუშაოს“ უხარისხოდ შესრულებისათვის და ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე.

4.2. „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას შესრულებული სამუშაოების ხარისხზე და ვალდებულებას იღებს სამუშაოების დასრულების შემდეგ და ან მანამდე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, „დამკვეთის“ პირველივე მოთხოვნისთანავე მოახდინოს ნაკლის აღმოფხვრა (გამოსწორება) საკუთარი ხარჯითა და საშუალებით.

5. საჯარიმო სანქციები

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს“ საურავის გადახდა ხელშეკრულების სრული თანხის 0.1%-ის ოდენობით დაგვიანების ყოველ დღეზე.

5.2. სათანადო შესრულებული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში (თუ ეს დაგვიანება გამოწვეულია (დამკვეთის“ მიზეზით) შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს საურავის გადახდა დაგვიანებული თანხის 0.1%-ს დაგვიანების ყოველ დღეზე.

5.3. „შემსრულებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არახთანადო შესრულების გამო „დამკვეთისაგან“ მიღებული დასაბუთებული შენიშვნების და ან პრეტენზიების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, „დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში (როგორცაა ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მოლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელს ხდის ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესრულების ვადები გადაიწვეს აღნიშნულ გარემოებათა მოქმედების ვადით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებები მოქმედებს ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ დროს არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარისაგან ზიანის ანაზღაურება.

- 6.3. ის მხარე, რომელსაც ფორს-მაჟორული გარემოებები ხელს უშლიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
- 6.4. შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით, ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე.

7. დავის გადაწყვეტა

- 7.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების საშუალებით. შეთანხმების მიღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა პირობები

- 8.1. ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები და ან დამატებები, რომლებიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
- 8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
- 8.3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.
- 8.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“
 მის. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის
 გამზ. №2/პეკინის ქ. №34
 საიდენტიფიკაციო კოდი: 205286616
 სს „ლიბერთი ბანკი“-ს ც/ყ
 ბანკის კოდი LBRTGE22
 ა/ა № GE79LB0113150350564003

დირექტორი  მარიანა შვილიძე

ბ.ა.



„დამკვეთი“:

შპს „ქროსვეისი“
 მის. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი 1

დირექტორი  ი. უბირიაძე

ბ.ა.



სამცენიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2011 წლის 25 ნოემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს "ახალი საქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო შპს "კროსვეისი"-ს დირექტორმა იოსებ უბირიამ ჩაიბარა 2011წ. 25 ივლისის №137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამცენიერო-ტექნიკური პროდუქცია - დაბა სტეფანწმინდაში ხასტუმრო „ყაზბეგი“-ს რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და ვენტილაციის ნაწილები. ჩაბარებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

დაკვეთის ხასხელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 43594.50 (ორმოცდახამათასხუთასოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს, დ.დ.გ.-ს ჩათვლით.

სამუშაო ჩააბარა :

..... ბ. მირიანაშვილი



სამუშაო შეიბარა :

..... ი. უბირია



11 ივნისი, 2010 წელი

ქ თბილისი

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2010 წლის 11 ივნისს, შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ,

სს "სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისაი", - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საქციო საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №50, ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: თბილისი 0179, ყაზბეგის ქ. №3-5; საიდენტიფიკაციო კოდი: 204919008, ტელ.: (+995 32) 444808; ფაქსი: (+995 32) 294905; წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ბატონი ნიკოლოზ გაყრელიძის მიერ;

სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International“ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საქციო საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. №20, ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. №20; საიდენტიფიკაციო კოდი: 211358494, ტელ.: (+995 32) 2500(11)88; ფაქსი: (+995 32) 293075; წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, ბატონი ვიორგი ლოლაძის მიერ;

შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, არაყიშვილის ქ. №2, ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: საქართველო, თბილისი, არაყიშვილის ქ. №2; საიდენტიფიკაციო კოდი: 204491344, ტელ.: (+995 32) 208888; ფაქსი: (+995 32) 912427; წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ბატონი თენგიზ მუზურნიშვილის მიერ;

შპს „არაო მედი“ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მონაშვილის ქ. №5, ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: _____; საიდენტიფიკაციო კოდი: 404861841, ტელ.: (+995 32) _____; ფაქსი: (+995 32) _____; წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ბატონი ალექსანდრე გენელიძის მიერ;

სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საქციო საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, ფასანურის ქ. №13, ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზ. №34; საიდენტიფიკაციო კოდი: 204543869, ტელ.: (+995 32) 152006; ფაქსი: (+995 32) 251603; წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბატონი ნიკოლოზ რამიშვილის მიერ;

შპს სადაზღვევო კომპანია „ვესტი“, - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: ფოთი, თამარ მეფის №42, ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის №5; საიდენტიფიკაციო კოდი: 206144331, ტელ.: (+995 32) 202-205; ფაქსი: (+995 32) 202-205; წარმოდგენილი მისი დირექტორის-ის ბატონ ავთანდილ ავლოსაშვილის მიერ;

შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც **დაამკვეთი**, ამასთან, თითოეული მათგანი მხოლოდით რიცხვში მოიხსენიება, როგორც **სადაზღვევო კომპანია**

და მეორეს მხრივ,

შპს „ახალი საქქალაქშეშეპროექტი“ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74 ზოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74; საიდენტიფიკაციო კოდი: 205286616; საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“, ა/ა 36087781, კოდი 220101480; ტელ.: (+995 32) 22 69 58; ფაქსი: (+995 32) 22 59 58; წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი ბაკურ მირიანაშვილის მიერ

შემდგომში მოხსენიებული, როგორც **შემსრულებელი**

მხარეთა ხელმოწერები:

(ქვემოთ თითოეული მოიხსენიება როგორც „მხარე“, ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც „მხარეები“)

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს აქვს იურიდიული ძალა და საკრძოლველოა მხარეებისთვის, რეგულირება და განმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

0802000, რამდენადაც:

- ა) მხარეები წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აქვთ სრული უფლება და მოპოვებული აქვთ ყველა საჭირო ნებართვა, რათა ეწეოდნენ მათი წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას;
- ბ) მხარეებს აქვთ სრული უფლება და მოპოვებული აქვთ ყველა საჭირო ნებართვა, რათა ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას და შეასრულონ მისი პირობები;

ამდენად, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების
საბანი;
დავალების
შესრულების
ეტაპები და
ვადები**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის დაავლების საფუძველზე უზრუნველყოს პოსიტალური სამედიცინო სერვისის მიწოდებული დაწესებულებების (შემდგომში სააკადემიკოსების), კერძოდ, 15, და 25 საწოლიანი სააკადემიკოსების შენობების პროექტების შემუშავება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების, წესებისა და სტანდარტების გათვალისწინებითა და ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით (შემდგომში დავალება);
- 1.2. შემსრულებელი დავალების შესრულებას ახორციელებს შემდეგი პირობებით: საპროექტო სამუშაოები განისაზღვრება სამ ეტაპად:
 - 1.2.1. ტიპური პროექტი. მილიანი მუშა დოკუმენტაცია 3 (სამი) თვეში, ხოლო ესკიზური პროექტი (არქიტექტურა, ტექნოლოგია) - ორი კვირის ვადაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან;
 - 1.2.2. ტიპური პროექტების მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების ვადა განისაზღვროს I თვით ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის 10 დღის ვადაში ცალკეული სადაზღვევო კომპანიისა და შემსრულებელს შორის გაფორმდება დამატებითი ხელშეკრულება და უზრუნველყოფილი იქნება ასაშენებელი სააკადემიკოსის შესაბამისი ტერიტორიის საკუთრების მოწოდების (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა) ტოპოგრაფიისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დასაწყისის წარმოდგენა შემსრულებლისათვის, ასევე, შემსრულებელი და დამკვეთის წარმომადგენლები განახორციელებენ ტერიტორიის ერთობლივ შესწავლასა და დათვალიერებას (ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს დამკვეთი) - აღნიშნული ერთი თვის განმავლობაში შემსრულებელი წარუდგენს დამკვეთს შენობის ±0.00 ნიშნულს ზევით არსებული შენობის კონსტრუქციული ნაწილს და სამშენებლო მოცულობებს, შესაბამის სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერის მოსამზადებლად, თუ კონკრეტული სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ვერ იქნება უზრუნველყოფილი შემოსხმებული ქვების შესრულება შემსრულებლის მხრიდან სამუშაოს ჩაბარების ვადა გადაიწვეს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ვადაგადაცილებული დღეების პროპორციულად. აღნიშნულის შემდეგ 10 (ათ) დღეში შემსრულებელი ჩაბარებს დამკვეთს ერთდროულად მაქსიმუმ 10 ობიექტის ქვაბულისა და საძირკვლების ნახაზებს, საკომუნიკაციო ხერხების დატანის გარეშე, რათა დამკვეთმა შეძლოს საამშენებლო სამუშაოების დაწყება; მომდევნო 10 დღეში - შემსრულებელი მზარეთა ხელმოწერები;

ანალოგიურად აბარებს მორიგ 10 ობიექტს, ხოლო მომდევნო 10 დღეში კი - დარჩენილ 10 ობიექტს.

1.2.3. შემსრულებელი 1.2.2 პუნქტში აღნიშნული დამატებითი ხელშეკრულებების საფუძველზე და 1.2.2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების შემდეგ უზრუნველყოფს შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის მიერ ყველა წინასაპროექტო საბუთის (კერძოდ, ტექნიკური პირობები; წყალგაყვანილობაზე, კანალიზაციაზე, ბუნებრივ აირსა და ელექტრო ენერჯიაზე) მიწოდებიდან ერთი თვის ვადაში საავადმყოფოს სრული საპროექტო დოკუმენტაციის მოწოდებას შესაბამისი სადაზღვევო კომპანიისთვის ასაშენებელი საავადმყოფოს ტერიტორიული მდებარეობის ყველა სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით.

2. შემსრულებელი პალატისათვის

- 2.1. შეადგინოს 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების პროექტები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების, წესებისა და სტანდარტების გათვალისწინებითა და სრული შესაბამისობით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;
- 2.2. უზრუნველყოს დაპატიჟებისა და მისი ცალკეული ეტაპების შესრულება ხელშეკრულების 1.2 პუნქტით დადგენილ ვადებში;
- 2.3. შესრულებული დაპატიჟების რეზულტატი, ისევე როგორც, დაპატიჟების ცალკეული შესრულებული ეტაპები გადასცემს შესაბამის სადაზღვევო კომპანიას შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, ხოლო 1.2.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო ყველა დამკვეთს.
- 2.4. ამ ხელშეკრულების 1.2.1 პუნქტით გათვალისწინებული საავადმყოფოების პროექტები შეადგინოს იმდენ ეტაპშიადაც, რამდენი სადაზღვევო კომპანია არის წარმოდგენილი ამ ხელშეკრულებაში დამკვეთის სახით, ხოლო 1.2 პუნქტში აღნიშნული სხვა სახის პროექტები, დამატებით გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული რაოდენობით;
- 2.5. ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და ვალდებულება.

3. დამკვეთი პალატისათვის

- 3.1. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით, დროულად და სრულად განახორციელოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან;
- 3.2. წარუდგინოს შემსრულებელს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია შემსრულებლის მიერ დაპატიჟების შესასრულებლად;
- 3.2. ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და ვალდებულება.

4. ხელშეკრულების ფასი; ანგარიშსწორების ფასი და პირობები

- 4.1. ამ ხელშეკრულების 1.2.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის დამკვეთი შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადაუხდის დავალებით გათვალისწინებული სამუშაოს ყოველ I (ერთ) კვ. მ-ზე 10 (ათი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტ ღირს (ამ თანხაში არ შედის ტოპოგრაფია და საინჟინრო გეოლოგიური კვლევები) (აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის, დღგ-ს); სულ: 25,970 (ოცდახუთი ათას ცხრაას სამოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტს ღირს. ამასთან, დამკვეთის სახით წარმოდგენილი სადაზღვევო კომპანიები შესრულებული დავალების ჯამურ ღირებულებას ინაწილებენ თანაბარ წილად, კერძოდ, თითოეული სადაზღვევო კომპანია ვალდებულია გადაუხადოს თანხა შემსრულებელს თითოეული სადაზღვევო კომპანიის სახელზე მზარეთა ხელმოწერები;

- შესრულების მიერ ინდივიდუალურად შედგენილი ინოვაციის საფუძველზე:
- 4.2. **ხელშეპრულების** 1.2.2 და 1.2.3 პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება ყოველ 1 (ერთ) კვ.მ-ზე შეადგენს 3 (სამი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტს ლარში (აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის, დღგ-ს), ამასთან, აღნიშნული თანხის კონკრეტული ოდენობა და გადახდის წესი შეთანხმდება შპსსრულებამ და შესაბამის სადაზღვევო კომპანიას შორის დამატებით გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე.
 - 4.3. **ხელშეპრულების** 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ სახელშეკრულებო თანხებზე ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი ვადების მიხედვით: ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 50% გადახდა წარმოებს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა განხორციელდება შესაბამისი სამუშაოს სრულად შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
 - 4.4. **ხელშეკრულების** 4.2 პუნქტით გათვალისწინებულ სახელშეკრულებო თანხებზე ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი ვადების მიხედვით: ხელშეკრულების 1.2.2 და 1.2.3 პუნქტში მოყვანილი დამატებითი ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 40% გადახდა წარმოებს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 საბანკო დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა განხორციელდება შესაბამისი სამუშაოს შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის ვადაში.
 - 4.5. **დამკვეთი ან/და ცალკეული სადაზღვევო კომპანია** ვალდებულია გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი შესრულების მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ან გამოთქვას წერილობითი პრეტენზია შესრულებული სამუშაოს წინამდებარე ან შესაბამისი ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად.
 - 4.6. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნააღლო ანგარიშსწორების ფორმით, ანგარიშსწორების დღისათვის თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბიზნის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

5. პირგასამტეხლო

- 5.1. ამ ხელშეპრულებით ნაკისრი ერთი ან რომელიმე ვალდებულების მხარის მიერ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია, დაპრლვევ მხარეს მოთხოვოს პირგასამტეხლოს სახით ხელშეპრულების 4.1 პუნქტში მითითებული ჯამური ღირებულების 0.5 (ნული მთელი, ხუთი მეათედი) %-ის გადახდა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
 - 5.2. ხელშეპრულებით ნაკისრი ერთი ან რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაპრლვევი მხარე ვალდებულია, გადაუხადოს მეორე მხარეს პირგასამტეხლო 20,000 (ოცი ათასი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის ფაქტის გამოუღენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
 - 5.3. მხარეთა მიერ შეთანხმებულია, რომ პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება შპსსრულებამ არ აქვს იმ სადაზღვევო კომპანიის მიმართ, რომლის მიერ წინამდებარე ხელშეპრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული იქნა სრულად და გეროუნად.
- მხარეთა ხელმოწერები:

6. საეკონომიკური პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის შესრულების - პროექტის შექმნის პროცესში სხვა პირთა (მათ შორის თანამშრომელთა) მონაწილეობა უზრუნველყოს ისეთი სამართლებრივი ფორმით, რომ დამკვეთის მიმართ არ იქნას წაყენებული რაიმე სახის პრეტენზია მესამე პირთა მხრიდან. შესაბამისად, თავად მოაგვაროს მესამე პირებთან ყოველგვარი ურთიერთობა და შესრულებული სამუშაოს დამკვეთისათვის გადაცემის შემდეგ მესამე პირთა მხრიდან რაიმე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, აიღოს სრული და პირადი პასუხისმგებლობა ასეთ პრეტენზიებზე. ამასთან, თუ აღმოჩნდება, რომ შემსრულებლის მიერ დარღვეული იქნა სხვა პირთა საავტორო უფლებები ან სამუშაოს შესრულების შესახებ შემსრულებელსა და მესამე პირებს შორის ხელშეკრულებაში არ იქნა გათვალისწინებული საავტორო უფლებების საკითხი, ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს დამკვეთის უფლებები წინამდებარე ხელშეკრულების პროექტით სარგებლობის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა დამკვეთისათვის პროექტით სარგებლობის შეზღუდვა ან/და ხარვეზობის აკრძალვა, შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ასეთი გარემოებით მიყენებული ნებისმიერი ზიანი.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეებმა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობათა სრულ და გუროვან შესრულებამდე.

7.2. დავების რეგულირება

მხარეები მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავენ, რათა მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით, შეთანხმებლობის შემთხვევაში კი დავა სასამართლოს გადაცემა განსაზღვრულად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. ცვლილებები

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეებმა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

7.4. ზარალის ანაზღაურება

მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ რომელიმე მხარემ მნიშვნელოვნად დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში მოყვანილ პირობებს, ან არ შეასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ერთ ან რომელიმე ვალდებულებას ან არაჯეროვნად შეასრულებს მას, დამრღვევი მხარე ანაზღაურებს ზარალს და დაიცავს სხვა მხარეებს და ნებისმიერ მათ მემწილებს, პარტნიორებს, დირექტორებს, თანამდებობის პირებს, მუშაკებს, წარმომადგენლებს, აგენტებსა და მრჩეველებს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ზარალისგან, მოთხოვნისგან, კმედებისგან, ზიანისგან ან ვალდებულებებისგან (მათ შორის, იურიდიული, საბუღალტრო და სხვა სახის გადასახადებისა და ხარჯების ჩათვლით), რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია მხარის მიერ ამგვარ დარღვევასთან/არშესრულებასთან/არაჯეროვან შესრულებასთან.

7.5. მართიანი ხელშეკრულება და ცვლილებები

ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებმა შორის ერთიან შეთანხმებას და ცვლის ამ საკითხების შესახებ ყოველ ადრეულ წერილობით თუ ზეპირ მოლაპარაკებასა და შეთანხმებას. ხელშეკრულება არ შეიძლება შეცვლილ ან შეესებულ იქნეს არავითარი ფორმით, გარდა ვეღა მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტისა.

7.6 შორს-მაშორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან და ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით. ფორს-მაჟორული მოვლენებს განეკუთვნება: ნებისმიერი სახის სტიქიური უბედურება, ეპიდემიები, ომები, ტერაქტები, სამხედრო გადატრიალებები, ზანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტები, სამოქალაქო მღელვარებები, ბლოკადები, ენერჯო სისტემის ან კავშირგაბმულობის ობიექტების ზანგრძლივი პარალიზება და სხვა დაუძლეველი ძალები, აგრეთვე, ზელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი აქტების მიღება, რომლებიც შეუძლებელს ხდის მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას. ფორს-მაჟორული მოვლენების არსებობისას, მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიდება მათ ლიკვიდაციამდე.

**7.7. მხარეთა
განცხადებაები და
გარანტიები**

მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ: ა) მათ აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება, რაც მათი სადამფუძნებლო საბუთებისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელია ამ **სქელშეკრულებას** ხელმოწერისთვის და შესრულებისთვის; ბ) მათ მიერ **სქელშეკრულებას** შესრულება არ წარმოადგენს მათი სადამფუძნებლო საბუთების რაიმე დებულებისა თუ რაიმე სათანადო კანონის დარღვევას; გ) მათ მიიღეს ან დააკმაყოფილეს ყველი კორპორატიული ან მარვეულირების (აშკარის აუცილებლობის შემთხვევაში) დასტური **სქელშეკრულებას** შესრულებისთვის; დ) **სქელშეკრულება** წარმოადგენს მხარეთა კანონიერ და სრული იურიდიული ძალის მქონე ვალდებულებას, რომელიც შეიძლება აღსრულებულ იქნას **სქელშეკრულებას** პირობათა შესაბამისად; ე) **სქელშეკრულება**ზე ხელმოწერა პირებს აქვთ ამის სრული უფლებამოსილება.

7.8. კომუნიკაცია

წინამდებარე **სქელშეკრულებას** აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიუწოდება წერილობითი ფორმით მხარეთა ამ **სქელშეკრულებაში** მითითებული ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დანარჩენ მხარეთათვის დაუყოვნებლივ მიუწოდებლობის შემთხვევაში, გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება მხარის მიერ მიღებულად.

7.9. ვებგვერდი

სქელშეკრულება შედგენილია 7 (შვიდი) ვებგვერდად, თითო თითოეული ხელმოწერილი პირისათვის. ყველი მათგანი ითვლება ორიგინალად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის დასტურად მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე **სქელშეკრულებას** ზემოაღნიშნული თარიღით:

დაამკვეთი:

სს „სადაზღვეო კომპანია აღდავი ბისია“

სახელი: ნიკოლოზ გოგოლაშვილი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

მხარეთა ხელმოწერები:

სს სერთაშვილი სადაზღვეო კომპანია „იმელი L International“

სახელი: ვიქტორ ლოლაძე
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

შპს სადაზღვეო კომპანია „აი სი ჯგუფი“

სახელი: თენგიზ მეზურიანი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

შპს „ირაო შელი“

სახელი: ალექსანდრე გელაშვილი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“.

სახელი: ნიკოლოზ რამიშვილი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

შპს სადაზღვეო კომპანია „ვესტი“

სახელი: ავთანდილ ავლოზაშვილი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

შეხვედრის მონაწილეები:

შპს „ახალი საქალაქმშენობის პროექტი“

სახელი: ბაკურ მირიანაშვილი
თანამდებობა: დირექტორი

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 01 ნოემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქაქლაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" -ს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ნიკოლოზ რამიშვილმა ჩაიბარა 2010 წ. 11 ივნისის № 100/2010 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - პოსპიტალური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების (შემდგომში საავადმყოფოების) კერძოდ 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების შენობების პროექტების მომზადება

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 8096,37 (რვა ათას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი) ლარი.

აგანხად ჩარიცხული თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 4084,22 (ოთხი ათას ოთხმოცდაოთხი ლარი 22 თეთრი) ლარს.

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 4012,15 (ოთხი ათას თორმეტი 15 თეთრი) ლარს

სამუშაო ჩააბარა :

ბაკურ მირიანაშვილი
" 11 " 2010 წ.
ბ.ა.



სამედიცინო დაზღვევის
არქიმედეს გლობალ ჯორჯია :
" 11 " 2010 წ.



ნ. რამიშვილი

ბ.ა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 10 სექტემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქალაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L International" -ს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა გიორგი ლოლაძემ ჩაიბარა 2010 წ. 11 თვისის № 100/2010 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - კოსპიტალური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების (შემდგომში საავადმყოფოების) კერძოდ 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების შენობების პროექტების მომზადება

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 8096,37 (რვა ათას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი) ლარი.

აუანსად ჩარიცხული თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 4084,22 (ოთხი ათას ოთხმოცდაოთხი ლარი 22 თეთრი) ლარს.

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 4012,15 (ოთხი ათას თორმეტი 15 თეთრი) ლარს

სამუშაო ჩაბარა :

..... გ. მირიანაშვილი

სამუშაო ჩაიბარა :

..... გ. ლოლაძე

„10“ 2010 წ.

..... 2010 წ.

ბ.ა.

ბ.ა.



სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 10 სექტემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქალაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო სს "სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისიი" -ს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ნიკოლოზ გამყრელიძემ ჩაიბარა 2010 წ. 11 ივნისის № 100/2010 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - კომპიუტერული სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების (შემდგომში საავადმყოფოების) კერძოდ 15 და 25 ხაზოლიანი საავადმყოფოების შენობების პროექტების მომზადება

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 8096.37 (რვა ათას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი) ლარი.

აუანსად ჩარიცხული თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 4084.22 (ოთხი ათას ოთხმოცდაოთხი ლარი 22 თეთრი) ლარს.

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 4012.15 (ოთხი ათას თორმეტი 15 თეთრი) ლარს

ჩააბარა :
მირიანაშვილი
2010 წ.
ბ.ა.

სამუშაო ჩაიბარა :
ნ. გამყრელიძე
"10" 09 2010 წ.

ბ.ა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 10 სექტემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო შპს სადაზღვევო კომპანია "აი სი ჯგუფი"-ს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა თენგიზ შეზურნიშვილმა ჩაიბარა 2010 წ. 11 ივნისის № 100/2010 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - პოსპიტალური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების (შემდგომში საავადმყოფოების) კერძოდ 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების შენობების პროექტების მომზადება

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 8024,30 (რვა ათას ოცდაოთხი ლარი 30 თეთრი) ლარი.

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 8024,30 (რვა ათას ოცდაოთხი ლარი 30 თეთრი) ლარს

სამუშაო ჩააბარა :

[Handwritten Signature]
..... ბ. მირიანაშვილი

სამუშაო ჩაიბარა :

[Handwritten Signature]
..... თ. შეზურნიშვილი



ბ.ა.

[Handwritten Signature] 2010 წ.

ბ.ა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 10 სექტემბერი


ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქალაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო შპს "ირაო მედი"-ს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ალექსანდრე გულენიძემ ჩაიბარა 2010 წ. 11 ივნისის № 100/2010 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - პოსპიტალური სამედიცინო ხერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების (შემდგომში საავადმყოფოების) კერძოდ 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების შენობების პროექტების მომზადება

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 8096.37 (რვა ათას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი) ლარი.

აუანსად ჩარიცხული თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 4084.22 (ოთხი ათას ოთხმოცდაოთხი ლარი 22 თეთრი) ლარს.

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 4012.15 (ოთხი ათას თორმეტი 15 თეთრი) ლარს

სამუშაო ჩააბარა :


..... ბ. მირიანაშვილი



სამუშაო ჩაიბარა :


..... ა. გულენიძე



სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 01 ნოემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქალაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო შპს სადაზღვევო კომპანია "ვესტი"-ს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ავთანდილ ავლოხაშვილმა ჩაიბარა 2010 წ. 11 ივნისის № 100/2010 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - კოსპიტალური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების (შემდგომში საავადმყოფოების) კერძოდ 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების შენობების პროექტების მომზადება

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 8096,37 (რვა ათას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი) ლარი.

აქვანსად ჩარიცხული თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 4084,22 (ოთხი ათას ოთხმოცდაოთხი ლარი 22 თეთრი) ლარს.

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 4012,15 (ოთხი ათას თორმეტი 15 თეთრი) ლარს

სამუშაო ჩააბარა :

სამუშაო ჩაიბარა :

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

ბ. მირიანაშვილი

ა. ავლოხაშვილი



2010 წ.



2010 წ.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ხელშეკრულება

საკონსულტაციო მომსახურებაზე

ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისძვრის
შედეგად დაზიანებული სახლების გამაგრების
სამუშაოების დეტალური საინჟინრო პროექტის
მომზადება და საავტორო ზედამხედველობა

EMERG/ON/C/DC/15-2010

აგვისტო, 2010

ხელშეკრულება № EMERG/ON/C/DC/15-2010

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

აღნიშნული ხელშეკრულება („ხელშეკრულება“) იდება 2010 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს („შემსყიდველი“), რომლის მისამართია თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 და შპს „ბაღალი საქალაქმშენობით“-ს („მიმწოდებელი“), რომლის მისამართია ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74, შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველი მიმწოდებლისაგან ითხოვს ქვემოთ აღნიშნულ მომსახურებას და მიმწოდებელი თანახმაა აღნიშნული მომსახურების გაწევაზე.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3. მომსახურება

- 3.1 მიმწოდებელი შეასრულებს საკონსულტაციო მომსახურებას, განსაზღვრულს ამ ხელშეკრულების დანართში A: „ტექნიკური დავალება და მომსახურების მოცულობა“, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (შემდგომში „მომსახურება“).
- 3.2 მიმწოდებელი მომსახურებისათვის უზრუნველყოფს დანართში B ჩამოთვლილ პერსონალს „მიმწოდებლის პერსონალი და ქვე-კონსულტანტები“
- 3.3 მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ანგარიშებს დანართში C, „მიმწოდებლის ანგარიშების ვალდებულებები“ განსაზღვრული ფორმისა და ვადების მიხედვით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1 მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადაა 2010 წლის 10 აგვისტოდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ან ნებისმიერი სხვა ვადა მზარეთა შეთანხმებისამებრ.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მზარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ოდენობა, გრაფიკი და პირობები

5.1 მაქსიმალური თანხა

დანართში A განსაზღვრული მომსახურებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის თანხას, რომელიც შეადგენს 23,500 (ოცდასამი ათას ზუთასი) ლარს. აღნიშნული თანხა დგინდება იმის გათვალისწინებით, რომ იგი შეიცავს მიმწოდებლის შემოსავალს, გასავალს და სავალდებულო გადასახადებს, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს საქართველოს კონონმდებლობის შესაბამისად.

5.2 გადახდის გრაფიკი

- 7,000 ლარი – დაზიანებული სახლის შესწავლის/შეფასების და მათთვის დაზიანების კატეგორიების დადგენის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ;
- 12,300 ლარი – მეორე კატეგორიის დაზიანების მჭონე სახლის გამაგრების დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენის შემდეგ;
- 2,100 ლარი – გამაგრებითი სამუშაოების წარმოების საავტორო ზედამხედველობის შუალედური ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ;
- 2,100 ლარი – გამაგრებითი სამუშაოების წარმოების საავტორო ზედამხედველობის საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ჯამში: 23,500 ლარი

5.3 გადახდის პირობები

გადახდა იწარმოებს ლარში, არაუგვიანეს ოცდარვა (28) კალენდარული დღისა მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი წარმოუდგენს მე-ნ-ე პუნქტში მითითებულ კოორდინატორს გადახდის ანგარიშს ორ ეგ ზემპლარად.

ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღლო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6. პროექტის ადმინისტრირება

6.1 კოორდინატორი

შემსყიდველი კოორდინატორად ნიშნავს მ-ნ თენგიზ ლაკირბაია. კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის

კოორდინირებაზე, ანგარიშების და სხვა წარმოსადგენი მასალების მიღებაზე და დამტკიცებაზე, აგრეთვე გადახდის მოთხოვნის მიღებასა და დამტკიცებაზე.

6.2 ანგარიშები

დანართში C: „მიმწოდებლის ანგარიშების ვალდებულებები“ ჩამოთვლილი ანგარიშები წარმოდგენილი იქნება მომსახურების პროცესში, დანართში განსაზღვრული ვადების მიხედვით.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების საფუძველზე.

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოაქვს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. კონფიდენციალურობა

აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში მიმწოდებელმა არ უნდა გაამხილოს მომსახურებასთან, აღნიშნულ ხელშეკრულებასთან, კლიენტის საქმიანობასთან ან სხვა ოპერაციებთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და კონფიდენციალურია, შემსყიდველისაგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

10. მასალების საკუთრება

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულების შესაბამისად მომზადებული ნებისმიერი სახის გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები, წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. შემსრულებელმა შეიძლება დაიტოვოს ასეთი დოკუმენტების და პროგრამული უზრუნველყოფის ასლი.

11. მიმწოდებელი არ უნდა იყოს დაკავებული განსაზღვრული საქმიანობებით

მიმწოდებელი თანახმაა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი დასრულების შემდეგაც, მას და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ორგანიზაციას ეკრძალება აღნიშნული მომსახურებიდან წარმოქმნილი ან მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პროექტის საქონლით, სამუშაოებითა და სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა (გარდა აღნიშნული მომსახურებისა და მისი ვაგრძელებისა).

12. დაზღვევა

მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა: არ გამოიყენება.

13. ვალდებულებების გადაბარება

მიმწოდებელი არ გადაბარებს ხელშეკრულებასთან ან ქვე-ხელშეკრულებასთან ან ნებისმიერ მათ ნაწილთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14. ხელშეკრულების ენა და მარეგულირებელი კანონი

ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით. ხელშეკრულების ენა არის ქართული.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

თუ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მაშინ ამ დავის გადაწყვეტა მოხდება საქართველოს სასამართლოს/არბიტრაჟის გზით, შემსყიდველის ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

16. საჯარიმო სანქციები

16.1 მიმწოდებელი გადაუხდის შემსყიდველს საჯარიმო თანხას სამუშაოების დასრულების დადგენილი ვადის გადაცილებისათვის. ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის ფასის 0.1 პროცენტს თითოეული გადაცილებული დღისათვის, რამდენი დღითაც მიმწოდებელი დააგვიანებს მეორე კატეგორიის დაზიანების მქონე სახლის გამაგრების დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენის შემდეგ წარმოდგენას.

16.2 თუ შემსყიდველი დააგვიანებს გადახდას 5.3 ქვეპუნქტში მითითებული ვადის შემდეგ, იგი იხდის დამატებით კომპენსაციას წლიური 1 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.6 ამ მუხლის 17.5 ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

18. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

18.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

18.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

18.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

18.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

18.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

19. ფასები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულების დაფიქსირებული მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

19.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაშვები.

20. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

20.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

20.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

20.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

21. ფორს-მაჟორი

21.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განზილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების

გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

21.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

21.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოშვვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწილოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

შემსყიდველი

ლევან ჭიჭინაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერა  

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ქ. თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. №150
ს/კ: 206 074 193

სს „ბანკი რესპუბლიკა“-ს ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220 101 757
ა/ა: 34080001

მიმწოდებელი

ბაკურ მირიანაშვილი
დირექტორი

შპს „ახალი საქალაქმშენებლობა“
ქ. თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74
ს/კ: 205 286 616

სს „ლიბერთი ბანკი“, ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220 101 480
ა/ა: 360 877 81

დანართები

დანართი A: ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა

დანართი B: მიმწოდებლის პერსონალი

დანართი C: მიმწოდებლის ანგარიშგების ვალდებულებები

დანართი A: ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა

ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების გამაგრების სამუშაოების დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება და საავტორო ზედამხედველობა

ტექნიკური დავალება ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების გამაგრების სამუშაოების დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადებლად ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურების შემდეგ სახეებს:

- I. დაახლოებით 1000 დაზიანებული სახლის შესწავლა/შეფასებას და მათთვის დაზიანების კატეგორიების დადგენას, ონის მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისიის წევრებთან ერთად;
- II. დაახლოებით 500 მეორე კატეგორიის დაზიანების მქონე სახლის გამაგრების დეტალური პროექტის მომზადებას.

ასევე, დავალება ითვალისწინებს გამაგრებითი სამუშაოების წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში საავტორო ზედამხედველობას.

საპროექტო სამუშაოების შესრულების პერიოდია 2010 წლის 10 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო საავტორო ზედამხედველობის პერიოდია ფიზიკური რეაბილიტაციის დაწყებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

დანართი B: მიმწოდებლის პერსონალი და ქვე-კონსულტანტები

ძირითადი პერსონალის სია

1. ვახტანგ ციციანიშვილი – ინჟინერ-კონსტრუქტორი
2. ვახტანგ შავლაყაძე – ინჟინერ-კონსტრუქტორი
3. იოსებ ქუთათელაძე – ინჟინერ-კონსტრუქტორი

დანართი C: მიმწოდებლის ანგარიშების ვალდებულებები

№	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	წარმოდგენის თარიღი
1	დაზიანებული სახლის შესწავლის/შეფასების და მათთვის დაზიანების კატეგორიების დადგენის შესახებ ანგარიში	2010 წლის 17 აგვისტო 30-მ
2	მორე კატეგორიის დაზიანების მქონე სახლის გამაგრების დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიში	2010 წლის 10 სექტემბერი
3	გამაგრებითი სამუშაოების წარმოების საავტორო ზედამხედველობის შუალედური ანგარიში	2010 წლის 10 ნოემბერი
4	გამაგრებითი სამუშაოების წარმოების საავტორო ზედამხედველობის შუალედური ანგარიში	2010 წლის 31 დეკემბერი

კონტრაქტის დამატება №1

კონტრაქტის ნომერი: NEMERG/ON/C/DC/15-2010

ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების გამაგრების სამუშაოების დეტალური სპინშინგო პროექტის მომზადება და სწავტორო ზედამხედველობა

(შემდგომში "კონტრაქტი")

წინამდებარე კონტრაქტის დამატება №1 (შემდგომში "კონტრაქტის დამატება №1")
გაფორმდა

2010 წლის 21 დეკემბერს

ერთის მხრივ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში „დამკვეთი“), რომლის მისამართია ქ. თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. №150

და

მორეს მხრივ შპს „ახალი საქსლაქშემდგომროექტი“-ს (შემდგომში „კონტრაქტორი“), რომლის მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ა. ჭავჭავაძის გამზ. №74, შორის

იმის გამო, რომ არ იგეგმება კონტრაქტით გათვალისწინებული შესაბამისი საბუთოები რომელიც ითვალისწინებს სახლების გამაგრებითი საბუთოების წარმოებას კონტრაქტიდან ამოღებულ უნდა იქნას საავტორო ზედამხედველობა, რის შედეგად, კონტრაქტის ღირებულება შემცირდა 4,520 ლარით.

შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კონტრაქტის ჯამური ღირებულება 23,500 ლარი შემცირდა 4,520 ლარით და შესაბამისად, კონტრაქტის საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 18,980 (თერამეტი ათას ცხრაასოთხმოცი და 00/100) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
2. წინამდებარე კონტრაქტის დამატება №1 წარმოადგენს 2010 წლის 9 აგვისტოსს დადებული NEMERG/ON/C/DC/15-2010 კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს.
3. წინამდებარე კონტრაქტის დამატება №1 ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

კონტრაქტის მონაწილე მხარეები საკუთარი სახელით და ზემოთ მითითებული თარიღით ხელს აწერენ წინამდებარე კონტრაქტის დამატებას №1.

დამკვეთი
ლევან ჭიჭინაძე



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

კონტრაქტორი



დაკუნაძე ირინაშვილი
საქსლაქშემდგომროექტი -ს
დირექტორი

შემსრულებელი:

ღამგვითი:

შპს „ახალი საქალაქმშენებროექტი“

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

ს/კ 205 286 616

ს/კ 206 074 193

ქ თბილისი
იჭაუჭაუაძის გამზირი №74,
ა/ა 36087781, კოდი 220101480
„ლიბერთი ბანკის ცენტ. ფილიალი.“

ქ თბილისი
დავით აღმაშენებლის ქ n 150
ა/ა 34080001, კოდი 220101757
„ბანკი რესპუბლიკას ცენტ. ფილ.“

დაკვეთა N EMERG/ON/C/DC/15-2010

ა ქ ტ ი

საპროექტო-საკონსულტაციო დოკუმენტაციის ჩაბარება-მიღების შესახებ
ხელშეკრულება N EMERG/ON/C/DC/15-2010 შედგენილი 2010 წლის 10 აგვისტო

ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების
გამაგრების სამუშაოების დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება I ეტაპი -
დაზიანებული სახლების შესწავლის, შეფასების და მათთვის დაზიანების კატეგორიის
დადგენის შესახებ ანგარიში

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერმა, შემსრულებელმა - შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი საქალაქმშენებროექტი“ დირექტორის - ბ.
მირიანაშვილის სახით, ერთის მხრივ, და დამკვეთმა - „საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდმა“ აღმასრულებელი აღმასრულებელი დირექტორის ბატონი ლევან
ჭიჭინაძის სახით, მეორეს მხრივ, შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ ჩაბარებული
საპროექტო და საკონსულტაციო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების
პირობებს.

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს - 23500,0 (ოცდასამი
ათას ხუთასი) ლარს.

გადასარიცხმა თანხამ შესრულებულ სამუშაოზე შეადგინა - 7000,0 (შეიდი
ათასი) ლარი

შპს „ახალი საქალაქმშენებროექტი“

„საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი“



ბ. მირიანაშვილი /

2010 წელი



ლ. ჭიჭინაძე /

2010 წელი

შემსრულებელი:

ღამჯვითი:

შპს „ახალი საქაღალაქშემპროექტი“

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

ს/კ 205 286 616

ს/კ 206 074 193

ქ თბილისი
ი.ჭავჭავაძის გამზირი N 74,
ა/ა 36087781, კოდი 220101480
„ლიბერთი ბანკის ცენტ. ფილიალი.“

ქ თბილისი
დ. აღმაშენებლის გამზირი N 150
ა/ა 34080001, კოდი 220101757
„ბანკი რესპუბლიკას ცენტ. ფილ.“

დაკვეთა N EMERG/ON/C/DC/15-2010

1 ნოემბერი 2010 წელი

ა ძ ტ ი

საპროექტო-საკონსულტაციო დოკუმენტაციის ჩაბარება-მიღების შესახებ ხელშეკრულება N EMERG/ON/C/DC/15-2010 შედგენილი 2010 წლის 09 აგვისტო

ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების გამაგრების სამუშაოების დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება II ეტაპი - მეორე კატეგორიის დაზიანების მქონე სახლების გამაგრების დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შემსრულებელმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი საქაღალაქშემპროექტი“ დირექტორის - ბაკურ მირიანაშვილის სახით, ერთის მხრივ, და დამკვეთმა - „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ აღმასრულებელი აღმასრულებელი დირექტორის ლევან ჭიჭინაძის სახით, მეორეს მხრივ, შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ ჩაბარებული საპროექტო და საკონსულტაციო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს - 23 500,0 (ოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

გადასარიცხმა თანხამ შესრულებულ სამუშაოზე შეადგინა - 11 980,0 (თერთმეტი ათას ცხრაასოთხმოცი) ლარი.

შპს „ახალი საქაღალაქშემპროექტი“

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“



ბაკურ მირიანაშვილი /

ლევან ჭიჭინაძე /

01.11.2010 წელი

11.11.2010 წელი

ხელშეკრულება № 76

ქობილისი

2010 წლის 17 მაისი

ერთი მხრივ შპს „ახალი საქალაქმშენებროექტი“ შემდგომში შემსრულებლად წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, ბაკურ მირიანაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე და მეორე მხრივ, შპს „ირაო მედი“, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, ალექსანდრე გელენიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი თავის თავზე იღებს, ჩაატაროს ჭიათურის 25 ადგილზე და წალკის 15 ადგილზე საავადმყოფოების რეკონსტრუქციის პროექტის წინასაპროექტო სამუშაოები. კერძოდ, მოამზადოს აზომებითი ნახაზები, ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შედგენილი კონსტრუქციული დასკვნა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა.
2. სამუშაოს ჩაბარების ვადა - 2010 წლის 25 მაისი.
3. დამუშავებული პროდუქციისათვის დამკვეთი გადაურიცხავს შემსრულებელს 5000 (ხუთიათასი) ლარს, დ.დ.გ.-ს ჩათვლით.
4. ანგარიშსწორება წარმოებს მხარეთა შეთანხმების თანახმად ერთდროულად სამუშაოს დასრულებისას.
5. სამუშაოს დასრულებისას შემსრულებელი წარუდგენს დამკვეთს პროდუქციის ჩაბარება-მიღების აქტს.
6. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში შემსრულებელი და დამკვეთი ქონებრივად აგებენ პასუხს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ხელშეკრულება ძალაშია დამკვეთის მიერ ხელის მოწერის დღიდან საბოლოო ანგარიშსწორებამდე.
8. შემსრულებლის მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშია - თბილისი, იჭავჭავაძის გამზ. №74. საიდენტიფიკაციო კოდი №205286616; „საქართველოს სახალხო ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, ა/ა №36087781, კოდი 220101480.
9. დამკვეთის მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშია - თბილისი, მოსაშვილის №5, საიდენტიფიკაციო №404861841; სს „ბაზისბანკი“ ა/ა 00000035736000, ბანკის კოდი 220101956

შპს „ახალი საქალაქმშენებროექტი“-ს

შპს „ირაო მედი“



მირიანაშვილი

2010წ.

ბ.ა.



გელენიძე

17

2010წ.

ბ.ა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი


ქ. თბილისი

2010 წლის 25 მაისი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს "ახალი საქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო შპს „ირაო მედი“-ს დირექტორმა ალექსანდრე გელენიძემ ჩაიბარა 2010 წ. 17 მაისის №76 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - ჭიათურის 25 ადგილზე და წალკის 15 ადგილზე საავადმყოფოების რეკონსტრუქციის პროექტის წინასაპროექტო სამუშაოები - აზომვითი ნახაზები, ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შედგენილი კონსტრუქციული დასკვნა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა. ჩაბარებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.


დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთიათასი) ლარს, დ.დ.გ.-ს ჩათვლით.

სამუშაო ჩააბარა :

 ბ. მირიანაშვილი

„25“ მაი 2010 წ.

სამუშაო ჩაიბარა :

 ა. გელენიძე

„25“ მაი 2010 წ.



ხელშეკრულება № 92

ქ. თბილისი

9 ივნისი 2010 წ.

ს. ივლისი 2010 წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორაო მენჯი“ (შემდგომში „დამკვეთი“), მისი გენერალური დირექტორის ალექსანდრე გელენიძის სახით, ერთის მხრივ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი საქაღალაშემშენებელი“, მისი დირექტორის ბაკურ შირიანაშვილის სახით, (შემდგომში „შემსრულებელი“), მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას მოამზადოს ქ. წაღკაში, ყოფილი სამშობიარო საავადმყოფოს შენობის, 15 ადგილზე საავადმყოფოსათვის რეკონსტრუქციის პროექტი (არქიტექტურულ-ტექნოლოგიური ნაწილი, კონსტრუქციული ნაწილი, საინჟინრო ნაწილი, ხარჯთაღრიცხვა).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მას გააჩნია ყველა სახის ნებართვა (ლიცენზია), რაც საჭიროა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად.

2.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია მაღალკვალიფიციურად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დაიწყოს 2010 წლის 9 ივნისს და მთლიანად დაასრულოს 2010 წლის 9 სექტემბერს.

ამასთან, სამუშაოს დაწყებიდან 20 დღეში მიაწოდოს დამკვეთს სამშენებლო სამუშაოების დაწყებისათვის აუცილებელი საპროექტო მასალა და უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილების თანდათანობითი მიწოდება, რომ არ მოხდეს მშენებლობის წყვეტა.

2.4. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაოს დასრულებისას წარუდგინოს „დამკვეთს“ შესრულებული სამუშაო, მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.

2.5. „დამკვეთი“ ვალდებულია დროულად მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაფარვა.

2.6. შემსრულებელი ვალდებულია:

- ა) მომსახურეობა შეასრულოს ტექნიკური დავალების შესაბამისად;

ბ) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით. დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მშენებლობის მიმდინარეობის მთელ პერიოდში, განახორციელოს მასზე საავტორო ზედამხედველობა;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

დ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.7. დამკვეთი ვალდებულია:

ა) შემსრულებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება მომსახურების მიმდინარეობაზე თანახმად მოქმედი ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების განხორციელება;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

3. ანგარიშსწორება

